ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს

მოქალაქე იური პაპასქუას (პ/ნ: 01001026257)

მცხ: გლდანის IIIა მ/რ, კორპ. N24, ბინა N61

ტელ: 574 34 64 27

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ვარ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: 01.11.05.029.179) მესაკუთრის სს „გლდანის“ (ს/კ:209439099) ერთ-ერთი მთავარი აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე (საკ: კოდი: 01.11.05.029.216 და 01.11.05.029.217, რომელიც წარმოადგენდა სს „გლდანის“ (ს/კ:209439099) საკუთრებას), დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და აღნიშნული მიზნით საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაციის შეთანხმება. გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები დღეის მდგომარეობით არის სადავო, ვინაიდან დადასტურებულია, რომ მიწის ნაკვეთების დღევანდელი მესაკუთრის ხელში გადასვლა განხორციელდა კანონმდებლობის, სააქციო საზოგადოების წესდების გვერდის ავლითა და მათი უგულებელყოფით. ასევე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთების გასხვისებას საფუძვლად ედო კონკრეტულ პირთა დანაშაულებრივი ქმედებები, რის გამოც დღეის მდგომარეობით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე შესაბამის საგამოძიებო უწყებებში და მიმდინარეობს გამოძიების პროცესი (საქმე N092011117007). კერძოდ, გამოძიება მიმდინარეობს საზოგადოების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით). გარდა აღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების განკარგვის კანონშესაბამისობის შესწავლის მიზნით, მიმართული მაქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის და აღნიშნულ ნაწილშიც საქმის წარმოება მიმდინარეობის პროცესშია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 01.11.05.029.216 და 01.11.05.029.217 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები დღეის მდგომარეობით არის სადავო, მათი უფლებრივი მდგომარეობა არ არის უნაკლო და მათ საკუთრებასთან

დაკავშირებული საკითხების შესწავლა მიმდინარეობს არაერთ სახელმწიფო, საგამოძიებო და სასამართლო უწყებაში, მოგმართავთ რათა არ მოხდეს თქვენი მხრიდან ზემოხსენებული უძრავი ქონებების სამშენებლოდ განვითარება და აღნიშნული მიზნით საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაციის შეთანხმება, ზემოხსენებული სამართალურთიერთობების დასრულებამდე.

ამასთან, გთხოვთ ჩემი მონაწილეობის გარეშე არ განიხილოთ 01.11.05.029.216 და 01.11.05.029.217 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით თქვენს სამსახურში შემოსული არცერთი განაცხადი და გთხოვთ უზრუნველყოთ ჩემი, როგორც დაინტერესებული პირის წარმოებებში ჩართვა, რათა შევძლო საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დანართი: სს „გლდანის“ ამონაწერი - 03 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

იური პაპასქუა

05.03.2020

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19004187, 16/01/2019 16:31:47

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს გლდანი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	209439099
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	1ა/5-7; 12/02/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	გლდ.რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ქერჩის ქ., № 6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: rakviashvilirudolf@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
სს გლდანი (209439099)	გამოყოფა	შპს ნათა (241562956)	23/12/1998

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო

  თავმჯდომარე/წევრი: 01019000234, ნუგზარ თომაშვილი

  თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01005004046, როინ სებისკვერაძე

წევრი: 01001026257, იური პაპასქუა

- საერთო კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01017022441, რუდოლფი რაქვიაშვილი

ყადაღა/აკრძალვა

- ყადაღა: **102018368695 04/10/2018 11:12:21**

  ს.ს. გლდანი ს/ნ 209439099

  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი მცხეთა , ქუჩა სამხედრო 7, 72.07.04.166**

  საფუძველი: **ბრძანება (აქტი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 03.10.2018 წ.), N011-2897, 19.09.2018, შემოსავლების სამსახური**
- ყადაღა: **102018368707 04/10/2018 11:14:10**

  სს გლდანი ს/ნ 209439099

  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 6 , (ნაკვეთი N29/55), 01.11.05.029.179**

  საფუძველი: **აქტი № 2018/011-2897/1 ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (03.10.2018 წ), N011-2897, 19.09.2018, შემოსავლების სამსახური**

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102016080242 04/04/2016 20:46:53**

  სააქციო საზოგადოება სს გლდანი ს/ნ 209439099

  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

  საფუძველი: **შეტყობინება, N0014922, 04.04.2016, შემოსავლების სამსახური**

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.

napr.gov.ge;

- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge